

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

გიგა სიმონიშვილი

ირანის მრეწველობის და ვაჭრობის მენეჯმენტის განვითარების რეგიონული  
ასპექტები

სადოქტორო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება

შიფრი 02

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

აკტორეფერატი

თბილისი

2018 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში  
ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტი  
ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფ. რევაზ კაკულია

---

რეცენზენტები:

---

---

დაცვა შედგება 2018 წლის ” \_\_\_\_\_ ” ივნისს \_\_\_\_ საათზე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების  
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი VI,  
აუდიტორია -----,  
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში  
ხოლო ავტორეფერატისა – ფაკულტეტის ვებგვერდზე

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი  
ასოცირებული პროფესორი

/ ლ. ბერიკაშვილი/

## Abstract

Thesis – “Regional aspects of the development of the industry and trading management in Iran” – consists of Introduction, Literature Review, Three Chapters, Eight Sub-Chapters, Conclusion, and Works Cited page.

Introduction, as per usual, reports of the urgency of the topic, of the quality of the research, of the goals of the research, of the research topic and object, of the theoretical base of the research, of the scientific innovation, of the research results, and of the structure of the Thesis

First chapter of the Thesis – “Sustainable development of the industry of the Islamic Republic of Iran” – consists of the following sub-chapters:

- 1.1. Methodological basis of the development of industry of the Islamic Republic of Iran;
- 1.2. The state of the industry of the Islamic Republic of Iran and the ways to perfect the industry.

The first sub-chapter discusses the topics of economic safety in the post-war period, protection of the economic interests of the Republic, and the government control of the movement and usage of national resources. Following terms are explained: “growth”, “sustainable”, “sustainable development”, and other important economic terms. It is said, in the first sub-chapter, that in the conditions of the economic transformation of the Islamic Republic of Iran, the provision of competitive production and import substitution industrialization is considered as one of the main directions of sustainable development of the economics. Internal and external reserves should be found to solve the problem, in order for the industrial units to be restructured with up-to-date technologies.

Also discussed in the first sub-chapter are the successes of mechanical engineering of Iran, and the improvement of the quality of life, now being on the same level as the world standard requires.

The second chapter – “Sustainable development of the Islamic Republic of Iran” – discusses the economic crisis in Iranian industry and the ways to overcome the crisis; the results of the social-economic crisis in the national industry of Iran; the state of perfection and the ways to perfection of the investment policies in Iran; the crisis, its results, and the actions taken by the Iranian government, concerning the crisis.

Third chapter – “Regional features of the economic modeling in the Islamic Republic of Iran” – consists of three sub-chapters:

- 3.1. Methodological basis of the measurement of efficiency of interregional trade;
- 3.2. The development of the state of interregional trade in Iran and the proportions of regional growth;
- 3.3. Econometric modeling of the development of the interregional trade factors in Iran;

In the first sub-chapter are shown the indicators and methods, that determine the trading potential, and are based on simple mathematical indicators (econometrics). Calculations and definitions of different economic indicators, that were defined and calculated by different scientists over the course of time, are explained. Dynamic

balance of import-export, according to the years, is discussed. Different types of statistical data is represented using tables and charts.

Second sub-chapter describes the state of development of the interregional trade and the proportions of regional growth. To measure the level of regional development, indicators were created, which assess economics, education, health, infrastructure, and agriculture. Indexes of all the fields are represented.

Third sub-chapter discusses the economic modelling of the development of the factors of interregional trade in Iran. Modeling and analysis was conducted according to the analysis of interregional trade of Tehran, using the examples of developed and undeveloped provinces – Kermanshah, Bushehr, Kurdistan, Khormenzgan, Lorestan, Sistan, and Baluchestan.

### სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალურობა.** ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ეფექტიანი მართვა გულისხმობს ეროვნული ეკონომიკის ურთიერთკავშირის პრობლემებისა და რეგიონული პოლიტიკის გამოკვლევას. რეგიონთაშორისი ვაჭრობის განვითარების ძალზედ მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება გარე გარემოს ნეგატიური ფაქტორების ზეგავლენისაგან ქვეყნის დამოკიდებულების შემცირება და სავაჭრო პოტენციალის კომპლექსური რეალიზება.

მეურნეობის ფორმების მიუხედავად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და პოლიტიკური სისტემის დონე მწვავედ საჭიროებს რეგიონებს შორის ეფექტიან ვაჭრობას, რომელთა პოლიტიკური შესაძლებლობები ქვეყანას საშუალებას მისცემს განახორციელოს საქონლისა და მომსახურების უფრო რაციონალური და ურთიერთ ხელსაყრელი გაცვლა. მეტიც, რეგიონთა შორის ვაჭრობის განვითარება, თამაშობს რა მთავარ როლს დარგებსა და რეგიონებს შორის, საფუძველს ქმნის რეგიონული ეკონომიკის კლასტერიზაციისა და რეგიონებს შორის ინტეგრირებული სტრუქტურების ფორმირებისთვის.

ი.ი.რ გარეეკონომიკური კავშირების დამყარების პრაქტიკა, რომლის ეკონომიკაც 20 წლის განმავლობაში სხვადასხვა გარე სანქციების ზეწოლის ქვეშაა, ამტკიცებს ამ თეზისის ორმაგ მნიშვნელობას. ერთი მხრივ, რეგიონებს შორის ვაჭრობა და მისი გაფართოება პოტენციურად სასურველ დონეზე, თავისთავად, მსოფლიო მეურნეობის კავშირების გლობალიზაციის

გამოწვევაა. მეორე მხრივ, ირანის სავაჭრო გზები, მიუხედავად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობისა, ასე თუ ისე აწყდება მნიშვნელოვან შეზღუდვებს და აკრძალვებს ვაჭრობაში გარე მსოფლიოსთან, რაც აიძულებს ქვეყანას ეძებოს ხელსაყრელი ალტერნატიული გზები საქონლის გაცვლისა და მომსახურების სფეროში. დღეისათვის, ქვეყნის წინმსწრები პოლიტიკის ხარჯზე, ირანში რეგიონებს შორის ვაჭრობის სისტემა ხელსაყრელ მდგომარეობაშია. თუმცა, რეგიონთაშორის ვაჭრობის განვითარებას, როგორც ასეთი, მეტწილად სპონტანური ხასიათი აქვს, არ არის რა სავაჭრო ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერულად დასაბუთებული შედეგი, არ პასუხობს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების პოტენციურ შესაძლებლობებს, ამიტომაც არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად სტაბილურ და ურთიერთ-ხელსაყრელად ეკონომიკური სანქციების რეჟიმის მოქმედების პირობებში. ამის ფონზე, სულ უფრო აქტუალური ხდება სამეცნიერო როლის გააზრებისა და ირანის ეკონომიკაში რეგიონთაშორის ვაჭრობის განვითარების საჭიროება.

ნაშრომის თემის აქტუალურობა დასაბუთებულია იმითაც, რომ რეგიონთა შორის სავაჭრო კავშირები მიმდინარეობს არა მარტო კომერციული მოღვაწეობის ფორმით ან საქონლისა და მომსახურების ბარტერული გაცვლით, არამედ კომპლექსური საფინანსო-საკრედიტო ოპერაციების მსგავსად, საწარმოთა კოოპერაციის გაღრმავებით, ინოვაციების დანერგვით, შრომითი მიგრაციის რეგულირებითა და ა. შ. რომელთა რეალიზაციაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან საორგანიზაციო-მართვით და სატრანსპორტო-სასაწყობო დანახარჯებთან, სავაჭრო ხარჯები ითხოვენ რეგიონებს შორის საქონელბრუნვის (გაცვლის) პროცესების ღრმა ანალიზის ჩატარებას, ქვეყნის რეგიონების დაახლოების ახალი გზების შესწავლას, სავაჭრო გზების ოპტიმიზირებას, ახალი ბაზრების ფორმირებას, შეთანხმების საფუძვლების საკანონმდებლო სრულყოფას და ა. შ. რაც ყოვლისმომცველ კომპლექსურ მეცნიერულ პრობლემას წარმოადგენს, რომელსაც საჭირო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ ყველაფერმა განსაზღვრა საკვლევი თემის არჩევა, მისი გამოკვლევის, თანამედროვე ირანის ეკონომიკური

პრობლემების აქტუალობისა და მის გადაწყვეტილებაშია.

**პრობლემის კვლევის ხარისხი.** საბაზრო თეორიების საფუძვლები საერთაშორისო, რეგიონებთაშორისი და შიდა რეგიონული სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში ჩადებულია ნამუშევრები ა. სმიტის, დ. რიკარდოს, ჯ. კეინსის, ე. ხეკმერის, ბ. ოლინის, კ. სამუელსონის, ვ. ლეონტიევის, მ. პორტერის, ჯ. ტობინის, ჯ. რობინსონის, ი. შუმპეტერის, ტ. ვებლენის, ჯ. კომონსის, რ. კოუზას, ჯ. ბიუკენენის, დ. გელბრეიტის, დ. ნორტის, მ. ოლსინის, რ. პოზნერის, გ. საიმონის, ჯ. სტიგლერის, ო. უილიამსონის, ჯ. უოლისის, ლ. აბალკინის, ლ. ბრაგინის, ა. გრანბერგის, ს. მალახოვის, ა. მისჩენკოს, ა. ოლენიკის, და სხვა. ამ ავტორების ნამუშევრებში მთავარი ყურადღება გამახვილებულია ძირითად მდგომარეობაზე საერთაშორისო, რეგიონთაშორისო და შიდა რეგიონულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც პლატფორმა სპეციფიკური პროგრამების მოდელირების რეგიონული პოლიტიკის რეალიზაციაში სხვადასხვა სოციალ-ეკონომიკურ სისტემებში.

ტრანსსააქციო ხარჯების პრობლემათა გამოკვლევამ რეგიონთაშორისო ვაჭრობის ხაზით მიძღვნილია – ჯ. ხესკეტის, რ. შაპიროს, რ. ბალლოუს, დ. ბოუერსოქსის, ე. მატეს, დ. უოტერსის, ბ. ანიკინის, ა. ალბეკოვის, ა. გაჯინსკის, ე. გოლიკოვის, ო. გორდონის, გ. დიბსკის, მ. ზალმახოვის და სხვათა – ნაშრომებში, რომლებშიც უმეტესად ჭარბობს ლოჯისტიკური შეერთების საკითხები სხვადასხვა რეგიონს შორის, ახალი ლოკალური ბაზრების ფორმირება და სავაჭრო ურთიერთობათა საკანონმდებლო საფუძვლების რეგულირების გამარტივება.

რეგიონთაშორისი ვაჭრობის მართვის აქტუალური პრობლემები აგრეთვე განხილულია რუსი მეცნიერების ნაშრომებში, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: ე. ბ. ალაევის, ლ. კ. ბაჟოტკინის, გ. ვ. გუტმანის, ო. გ. კისტანოვის, ვ. ვ. კოტილკოს, ნ. ი. ლარინის, ვ. ნ. ლექსინის, ა. ს. მარშალოვის, ტ. გ. მოროზოვის, დ. ს. მუფტიევის, მ. ვ. პანასიუკის, ო. ა. რომანოვის, ე. ი. ტიხომიროვის, დ. ს. ხაირულოვის, ვ. ვ. ხომენკოს, ო. ბ. ჩერნენკოს, ა. ნ. შვეცოვის, მ. ი. იანდიევის და სხვათა შრომები. განსაკუთრე-

ბული ყურადღებაა გამახვილებული პოლიტიკურ განსხვავებულ ასპექტებზე, ქვეყნის გარე-სამყაროსთან დამაკავშირებელ სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებაზე, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რეგიონული ენერგეტიკული ბაზრის ფორმირებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

ირანში რეგიონთა შორის ვაჭრობის პრობლემებმა განსაკუთრებული აქტუალობა მიიღო 2010 წლის შემდეგ. აშშ და მისი მოკავშირეების მიერ ეკონომიკური სანქციების გაძლიერებას თან სდევდა ირანელი მეცნიერების რიგი ფუნდამენტური ნაშრომების გამოჩენა, რომლებიც მიძღვნილია ირანის რეგიონებს შორის თანამშრომლობაზე სხვადასხვა მიმართულებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი მეცნიერების ნაშრომები როგორცაა: მ. მ. აბედინის, მ. რასტის, ა. ახავის, მ. ა. ხოსეინის, მ. რახმანის, ხ. რასეხის, ა. საბიგიანის, მ. ა. სეედის, ხ. კ. თაების, კ. აზერბაიჯანის, კ. ხოსეინის და სხვა. ამასთანავე, ირანელ ავტორთა ნამუშევრების უმეტეს შემთხვევაში ფენომენი „სასანქციო“ და „სანქციის რეჟიმი“ უგულვებელყოფილია. ამის ნაცვლად ფიგურირებს ლოზუნგი „რეგიონების დაბალანსებული განვითარება“.

ამასთან ერთად, რეგიონთაშორისო ვაჭრობის პრობლემის გადაწყვეტა, რომელშიც ამჟამად ირანი იმყოფება, მიზანშეწონილია განხილულ იქნეს სანქციათა იმ პრიზმაში, რომლებიც მიღებული ირანის წინააღმდეგ. საჭიროა უფრო საფუძვლიანად ჩამოვაცალიბოთ რეგიონთაშორისო ვაჭრობის განვითარების მეთოდური მდგომარეობა როგორც აუცილებელი პირობა ირანის ეკონომიკის სტაბილური ფუნქციონირებისათვის სანქციების რეჟიმის პირობებში. ურთიერთხელსაყრელი რეგიონთაშორისო საქონელბრუნვის მექანიზმის ფორმირება საჭიროა განვიხილოთ სატრანსპორტო-კომუნიკაციურ ინფრასტრუქტურის შექმნისა და გაუმჯობესების პრობლემათა გადაწყვეტის პრიზმაში, პროვინციებს შორის ახალი ლოკალური ბაზრების ფორმირებაში. რეგიონულ დონეზე სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების პარამეტრების მოდელირება რეგიონულ დონეზე საშუალებას მოგვცემს კომპლექსურად მივუდგეთ ირანის ეკონომიკის სტაბილურად

ფუნქციონირების უზრუნველყოფის საკითხებს.

**გამოკვლევის მიზნები და ამოცანები.** სადისერტაციო ნაშრომის მიზანია თეორიული და მეთოდოლოგიური მდგომარეობის შემუშავება და ანალიზი. ასევე, პრაქტიკული რეკომენდაციების რეგიონთაშორისო ვაჭრობის განვითარების სანქციათა გამკაცრების პირობებში დაყენებულმა მიზნებმა უნდა განაპირობოს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობა. ესენია:

- გამოვიკვლიოთ შიდა რეგიონულ-ეკონომიკური პოლიტიკა თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტების ფორმირება და რეგინთაშორისი ვაჭრობის თანამედროვე პირობებში განვითარება;
- გამოიყოს სავაჭრო ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებანი სანქციების რეჟიმის პირობებში;
- ირანში რეგიონთაშორისო ვაჭრობის განვითარების მდგომარეობის და ტენდენციების ანალიზი;
- განხორციელდეს ირანის რეგიონთაშორისი ვაჭრობის მოდელირება და გამოვლინდეს პერსპექტიული განვითარების მიმართულება;
- შემუშავდეს რეგიონთაშორისო ვაჭრობის გაფართოებისა და განვითარების ღონისძიებათა კომპლექსი გარე-ეკონომიკური სანქციების პირობებში;

**კვლევის ობიექტად** გამოდის რეგიონთაშორისო ვაჭრობის განვითარების მართვის სისტემა, როგორც ეროვნული ეკონომიკის სტაბილურად ფუნქციონირებისა და გარემოსგან დამოკიდებულების შემცირების ფაქტორი.

**კვლევის საგანია** რეგიონთაშორისო ვაჭრობის განვითარების მართვის პროცესში გაჩენილი სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობა გარე ბაზრებთან შეზღუდული დაშვების პირობებში.

დისერტაციის **კვლევის თეორიულ ბაზად** აღებულია უცხოეთის, რუსეთისა და ირანის მეცნიერთა შრომები რეგიონთა სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში. სპეციალიზებული ჟურნალების მასალები, ნორმატიული და საკანონმდებლო დოკუმენტები ი.ი.რ-ს და მისი სხვა-



დასხვა პროვინციის დოკუმენტური მასალები.

დისერტაციული გამოკვლევის შესრულების დროს, ასევე, გამოყენებულია სტატისტიკური მონაცემები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მასალები (დუშანბე, თეირანი, 2009–2013 წელი). ანალიტიკური ინფორმაციის წყაროდ გამოყენებულია ირანის სტატისტიკური ცენტრის სტატისტიკური მასალები, მისი რეგიონული განყოფილებები. ასევე, ავტორის მიერ შეგროვილი მასალები რეგიონთაშორისო ვაჭრობის პრობლემათა მრავალპროფილური გამოკვლევების შესახებ.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა საერთო-მეცნიერული და სპეციალური მეთოდები, როგორც არის: აბსტრაქტულ-ლოგიკური, მონოგრაფიული, ეკონომიკურ-სტატისტიკური, შედარებითი, რეგრესიული ანალიზის და სხვა. გამოკვლევის საერთო-მეთოდოლოგიური საფუძვლებია დიალექტიკური შემეცნების მეთოდი, საწყისი მონაცემების გაერთიანება და დამუშავება, ალგორითმების შემუშავება და მათი გადაწყვეტა დასმული ამოცანების გამოკვლევებით; დედუქცია და ინდუქცია, ანალიზი და სინთეზი, ანალოგიები, ისტორიულისა და ლოგიკურის ერთობა, სტატისტიკური ანალიზი.

**მეცნიერული სიახლე.** სადისერტაციო კვლევა შედგება თეორიული და მეთოდოლოგიური მდგომარეობის დასაბუთებითა და პრაქტიკული რეკომენდაციებით, რეგიონული სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების მთავარი მიმართულების შემუშავებით საგარეო ეკონომიკური სანქციების პირობებში. სამეცნიერო სიახლეებია:

– თანამედროვე პირობებში ზემოქმედების პირდაპირი და ირიბი ფაქტების რეგიონთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე ზეგავლენის პირობებში დაზუსტებულია რეგიონულ სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ასპექტები.

– აღნიშნულია სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულების რეალიზაციის პრიორიტეტები „გარე ვაჭრობაზე უარის თქმა ქვეყნის შიდა რეგიონთაშორისო ვაჭრობის სასარგებლოს“ ეკონომიკური სანქციების პირობებში.

– გამოვლენილია ის მეთოდოლოგიური საფუძვლები ვაჭრობის

ეფექტიანობის ხარისხის განსაზღვრის საერთაშორისო დონეზე, რომელიც არსებული სავაჭრო ბალანსის გათვლის გაერთიანებისა და მოდერნიზების განსაზღვრაში მდგომარეობს;

– რეგიონთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები და გარემოს ზემოქმედების საფრთხეთა შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე გამოიყო ყველაზე დაუცველი რეგიონები ექსპორტ-იმპორტის ბალანსის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით, მათი სუსტი და ძლიერი მხარეების განსაზღვრით, რეგიონთაშორისო ვაჭრობის შიდა განვითარების პერსპექტივებით ადა შიდა განვითარებით;

– შემუშავდა ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავამტკიცოთ ჰიპოტეზები დადებითი და უარყოფითი კავშირების არსებობა რეგიონთაშორისო ვაჭრობის მოცულობასა და სხვადასხვა მაჩვენებელს (ფაქტორებს) შორის, რეგიონული ვაჭრობის განვითარებისთვის რეალიზებული პოლიტიკის ეფექტიანობა ირანის ცალკეულ პროვინციებს შორის.

– განისაზღვრა რეგიონთაშორისო ვაჭრობის განვითარების მიმართულება ქვეყნის სატრანსპორტო-კომუნიკაციური ინფრასტრუქტურის სრულყოფის გათვალისწინებით და მათ საფუძველზე ახალი ლოკალური ბაზრების ფორმირება, პროვინციების უპირატესობების განსაზღვრა გარკვეული სახის საქონლის წარმოებასა და მომსახურებაში.

**კვლევის შედეგები** შეესაბამება შემდეგ პუნქტებს სპეციალობის ნომენკლატურის პასპორტის სნპ-ს და რუსეთის ფედერაციის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სპეციალობის მიხედვით 08.00.05. სახალხო მეურნეობას (რეგიონული ეკონომიკა) ეკონომიკა და მართვა.

**ნაშრომის სტრუქტურა.** ნაშრომი მოიცავს 123 ნაბეჭდ გვერდს, რომელიც შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, 3 თავის, 9 ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

**სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი შინაარსი**

რეზიუმე (ქართულ და ინგლისურ ენებზე);

ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა;

შესავალი;

ლიტერატურის მიმოხილვა;

შედეგები და მათი განსჯა;

თავი 1. ირანის ისლამური რესპუბლიკის მრეწველობის მდგრადი განვითარება

1.1. ირანის ისლამური მრეწველობის მდგრადი განვითარების მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.2. ირანის ისლამური რესპუბლიკის მრეწველობის მდგომარეობა და სრულყოფილად მართვის გზები

თავი 2. ირანის ისლამური რესპუბლიკის მდგრადი განვითარება

2.1. ეკონომიკური კრიზისი ირანის მრეწველობაში და მისი დაძლევის გზები

2.2. სოციალ-ეკონომიკური კრიზისის (ვარდნის) შედეგები ირანის ისლამური რესპუბლიკის ეროვნულ მრეწველობაში

2.3. ირანის ისლამური რესპუბლიკის მრეწველობის საინვესტიციო პოლიტიკის მდგომარეობა და სრულყოფის გზები

თავი 3. ეკონომიკური მოდელირების რეგიონული თავისებურებები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში

3.1. რეგიონთაშორის ვაჭრობის ეფექტიანობის დონის განსაზღვრის მეთოდური საფუძვლები

3.2. ირანის რეგიონთაშორისი ვაჭრობის ფაქტორთა განვითარების ეკონომეტრიული მოდელირება

დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურა.

სადისერტაციო ნაშრომი – „ირანის მრეწველობის და ვაჭრობის მენეჯ-მენტის განვითარების რეგიონული ასპექტები“ – შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, სამი თავის, რვა ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

შესავალში ტრადიციულად გადმოცემულია თემის აქტუალურობა, პრობლემის კვლევის ხარისხი, გამოკვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის ობიექტი და საგანი, კვლევის თეორიული ბაზა, მეცნიერული სიახ-

ლე, კვლევის შედეგები და ნაშრომის სტრუქტურა.

**პირველ თავში** – „ირანის ისლამური რესპუბლიკის მრეწველობის მდგრადი განვითარება“ – საუბარია ირანის მრეწველობის მდგრადი განვითარების მეთოდოლოგიური საფუძვლებზე, ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებზე, თანამედროვე ტიპის რეფორმასა და ირანის კრიზისის დაძლევის ხელშემწყობ ფაქტორებზე.

პირველ ქვეთავში საკმაო ადგილი უჭირავს მდგრადი განვითარების პრობლემებს, რომლის ახსნაც შესაძლებელია ფილოსოფიურ და საზოგადოებრივ დონეზე.

ომის დამთავრების შემდეგ უფრო მეტად მწვავე და აქტუალური გახდა ეკონომიური უსაფრთხოების საკითხები. საერთაშორისო პრაქტიკაში უსაფრთხოების ტერმინად იგულისხმება ეკონომიკის მდგომარეობა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია ქვეყნის საკმაოდ მაღალი და მდგრადი ეკონომიკური ზრდა; ეკონომიკური მოთხოვნილების ეფექტიანი დაკმაყოფილება; სახელმწიფო კონტროლი ეროვნული რესურსების მოძრაობა და გამოყენება; ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

თანამედროვე რეფორმის ეტაპის მთავარი მიზანია საზოგადოების მდგრადი განვითარებისათვის ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტა. ირანის ეკონომიკაში კრიზისის დაძლევის ხელს უწყობს არა მარტო ცალკეული დარგების დროებითი სტაბილურობა, არამედ მათი შემდგომი განვითარებაც.

ეკონომიკის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ითვლება კონკურენტუნარიანი, იმპორტშემცვლელი წარმოების უზრუნველყოფა ი.ი.რ. ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში. ამ პრობლემის გადაჭრას სჭირდება შიდა და გარე რეზერვების მოძებნა, რათა საწარმო ობიექტებს ჩაუტარდეს რესტრუქტურიზაცია უახლესი ტექნოლოგიებით, ხარისხის ამაღლების გზების მოძებნა, იმპორტშემცვლელი პროდუქციის გაფორმების დონით. იმპორტშემცვლელი და ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოება საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ მაღალ ეკონომი-

კურ სარგებელს, მათ შორის მივაღწიოთ ბალანსს იმპორტსა და ექსპორტს შორის. თუმცა, ირანში სუსტადაა განვითარებული ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმი იმპორტშემცველი პროდუქციის განვითარებისთვის.

ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია სახელმწიფო და კომერციული პროგრამის შექმნით, რომელსაც დაეყრდნო იმპორტშემცველი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის მრეწველობა. მაგალითად, ბოლო წლებში ირანის მანქანათმშენებლობამ მიაღწია გარკვეულ წარმატებებს ევრო და აზიურ ბაზარზე და სულ ახალ-ახალ პოზიციებს იპყრობს. თუმცა, კონკურენტუნარიანი პროდუქციის დიდი ნაწილი განკუთვნილია შიდა მოხმარებისთვის და მხოლოდ მისი მცირე ნაწილი გადის ევროპასა თუ აშშ-ში (ცხრილი 1.1.1). სათადარიგო ნაწილების იმპორტი საექსპორტო რეგიონების მიხედვით შეადგენს: ევროპა - 42,3%, აშშ - 0,1%, აზია - 57,6 %.

ცხრილი 1.1.1

საავტომობილო დეტალების იმპორტ-ექსპორტი ქვეყნის რეგიონების მიხედვით (ათას \$ აშშ).

რეგიონი	ევროპა	აშშ	აზია	სულ
ნული				
2012	16314	684	55854	75852
2013	54670	4011	266602	325283
2014	43488	14868	545448	605984
2015	29448	1530	242514	273492
2016	47100	1300	641900	2228600

წყარო: ირანის ეროვნული სტატისტიკის სააგენტოს 2012-2016 წლების მონაცემები

მიუხედავად იმისა, თუ რომელ ასპექტში განიხილება ცნება „მდგრადი განვითარება“, ყოველთვის არსებობს მექანიზმი, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადობას განაპირობებს, რომელიც ეხება ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროს. გარდა იმისა, რომ ცნება „მდგრადი განვითარება“ მკვლევართა მხრიდან განიხილება სამ ასპექტში, ავტორთა უმრავლესობა თვლის, რომ მისი მომარაგების მექანიზმი ერთიანი და კომპლექსური უნდა იყოს. გარდა ამისა, საჭიროა გამოვლენილი და

ლიკვიდირებულ იქნეს ფაქტორები, რომლებიც მდგრად განვითარებაზე ნეგატიურად მოქმედებენ.

ირანის ისლამური რესპუბლიკის გამოცდილება მეტყველებს იმაზე, რომ სიმძიმის სხვა მხარეზე გადატანის მცდელობა ანგრევს ბალანსს და თვით სისტემის მდგრადობას. როგორც წესი, ბალანსის დამანგრეველი ეს ძალები ეფექტს მცირე დროით იძლევა. ბოლოს სისტემა ინგრევა ან ეწინააღმდეგება ნგრევის საშიშროებას და მდგრად მდგომარეობას უბრუნდება. ეს პროცესები ხანგრძლივია და კოლოსალურ მატერიალურ ხარჯებს საჭიროებს.

ირანის გასაღების მთავარ ბაზრად რჩება ევროპა და აზია.

ქვეყანაში ეკონომიკის მდგრად მოდელზე გადასვლა ის პროცესია, რომლის რეალიზაციისთვის საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- ქვეყნის მატერიალური დოვლათის წარმოების ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობის უზრუნველყოფა, რომელიც გახდება ეროვნული ეკონომიკური პოზიციების გარანტი;
- საწარმო და ინსტიტუციონალური ზრდის ფორმირება;
- მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლება.

ქვეყანაში არსებობს ობიექტური წინაპირობა ზემოაღნიშნული ამოცანების გადაჭრისთვის.

როგორც წესი, ირანის ეკონომიკის სტრატეგიული მიზანია დაღმასვლის პოლიტიკიდან ეკონომიკის აღდგენის პოლიტიკაზე გადასვლა, გარე და შიდა ეკონომიკურ საფრთხეებთან ეფექტიანი გამკლავება.

ქვეყნის გარე და შიდა საფრთხეების ანალიზმა ეკონომიკის უსაფრთხოებაში ცხადჰყო, რომ მთავარ გარე საფრთხეებად ითვლება:

- საგარეო ვალის ზრდა;
- სამთო და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ექსპორტი;
- სტრატეგიული რესურსების და ვალუტის ქვეყნიდან გადინება;
- ამ გაყიდვებიდან შემოსავლების ეფექტიანი გამოყენება;

შიდა საფრთხეებად ითვლება: საფინანსო, ორგანიზაციული და ინფორმაციული ინფრასტრუქტურების არასრულყოფილი განვითარება, ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის არქონა.

მეორე ქვეთავში – „ირანის ისლამური რესპუბლიკის მრეწველობის მდგომარეობა და სრულყოფილად მართვის გზები“ – მოცემულია ქვეყნის ფინანსური სისტემის განვითარება დინამიკაში, ბიუჯეტის დაგეგმვასა და მის როლზე, სამრეწველო პროდუქტების წარმოების საკუთრების ფორმებზე. ანალიზით ჩანს, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკაში დომინირებს სამრეწველო წარმოების სახელმწიფო სექტორი, რომლის წილიც 76,6 პროცენტია, ხოლო დანარჩენი 23,4 % სააქციო საზოგადოებებს, ერთობლივ საწარმოებს და არასახელმწიფო სექტორს.

ირანის ისლამური რესპუბლიკის ფინანსური სისტემის განვითარება ხორციელდება ფისკალური და მონეტარული რეალიზაციის საფუძველზე. ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლების ფინანსურ და დაკრედიტების სფეროში მთავარ მიმართულებად გამოდის საბანკო სისტემის შემდგომი რეფორმები, საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის სრულყოფილება საფინანსო საკრედიტო ორგანიზების მნიშვნელობასა და როლის ამაღლება რეალური ეკონომიკური სექტორის განვითარებაში.

საბაზრო ურთიერთობის პირობებში მრეწველობის ამაღლების ფაქტორში მთავარი ადგილი ბიუჯეტსა და მრეწველობას შორის ორგანიზაციას უკავია. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება სუფთა მოგების განაწილებას, რომელიც ფორმირდება ეროვნული ეკონომიკის დარგებში.

ამჟამად, შემოსავლების უდიდესი ნაწილი, რომელიც ფორმირდება მრეწველ სუბიექტებში, იხარჯება საერთო სახელმწიფო საჭიროებაზე, სადაც ეროვნული შემოსავლის ნახევარზე მეტი ნაწილდება სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით.

მეორე თავში – „ირანის ისლამური რესპუბლიკის მდგრადი განვითარება“ – განხილულია ისეთი საკითხები როგორცაა: ეკონომიკური კრიზისი და სოციალ-ეკონომიკური კრიზისის შედეგები ირანის ისლამური რესპუბლიკის მრეწველობაში, ირანის მრეწველობის საინვესტიციო

პოლიტიკის მდგომარეობა და სრულყოფის გზები. საუბარია იმაზე, რომ ერაყთან 8 წლიანმა ომმა მნიშვნელოვნად დაასუსტა ქვეყნების საექსპორტო პოტენციალი.

იმპორტის ელვისებურმა ვარდნამ და საგარეო ვალების ზრდამ, ფულადი სახსრების არასაკმარისობამ მიიყვანა იქამდე, რომ სახელმწიფომ ვედარ შესძლო თავისი ვალდებულებების შესრულება ბევრ შეთანხმებებში. ექსპორტთან შედარებით იმპორტის ზრდით, სახელმწიფომ შეძლო საგარეო ვაჭრობის დაბალანსება, რამაც ქვეყნის კრედიტუნარიანობის დონის გაზრდა გამოიწვია.

იმ დროს, როდესაც შიდა დანაზოგებმა შეადგინა 1.5 % შ.მ.პ-გან და მოზიდული უცხოური ინვესტიციების მოცულობა უმნიშვნელო იყო, ეკონომიკის აღდგენა შეუძლებლად ეჩვენებოდათ. არსებული სიმძლავრეები დიდ წილად გაცვეთილი იყო და ითხოვდნენ მთლიანად გადაიარაღებას. კრიზისის სოციალ-ეკონომიკურ შედეგებს საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში არ შეეძლოთ გავლენა არ მოეხდინა სახალხო მეურნეობის მთავარ დარგებზე. ეს დარგები ქვეყნის ეკონომიკის საფუძველს შეადგენენ და მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან. რადგანაც გაანალიზებულ პერიოდში ირანის ეკონომიკური მაჩვენებლები მინუსშია, მათ არ შეეძლოთ გავლენა არ ჰქონოდათ ეკონომიკური განვითარების ტემპებზე. ამიტომ ომის შემდგომი სიტუაცია ირანის ეკონომიკაში ხასიათდება ეკონომიკური მაჩვენებლებისა და ეფექტიანობის შემცირებით. სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის განხილვის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათ ძლიერ შეზღუდეს რესურსების ფინანსური მოცულობა და შიდა საინვესტიციო ობიექტები გაიყინა ან შეწყვიტეს ფუნქციონირება. რესურსების მწვავე დეფიციტი იგრძნობოდა არა მარტო სახელმწიფო, არამედ, კერძო და კოლექტიურ წარმოებებში. ამ პირობებში რთული იყო განხილვა მსხვილი სამშენებლო პროექტების და არსებული მრეწველობის პროგრამების გაფართოებაზე.

სოფლის მეურნეობა ირანში მნიშვნელოვანი დარგია, რომელსაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და საჭიროებს სახელმწიფოს მხარდაჭერასა და სტიმულირებას, ასევე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.



კრიზისმა მთლიანობაში უარყოფითად იმოქმედა ირანის მრეწველობის მდგომარეობაზე. საკმაოდ იაფმა ელექტროენერგიამ წარსულში საშუალება მისცა ენერგეტიკული დარგის განვითარებას, მაგრამ ახალ სამეურნეო სისტემაზე გადასვლისას ადრე უფრო ეფექტიანად მოქმედი მრეწველობის დარგები აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში.

ირანის მანქანამშენებლობის საწარმოები დღეს აწარმოებენ საქსოვ მანქანებს, მაცივრებს, ტრანსფორმატორებს, ნავთობისა და გაზის მომპოვებელ მოწყობილობებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის სათადარიგო ნაწილებსა და სხვა სანათ მოწყობილობას.

მთავრობამ მიიღო ირანის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ეროვნული ეკონომიკის აღდგენისთვის საჭიროა ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარების წინაპირობების ფორმირება.

ეს წინაპირობა შემდეგში მდგომარეობს:

- ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპების უზრუნველყოფა;
- ახალი განვითარებული საბაზრო ურთიერთობების ფორმირება;
- საწარმო და სოციალური სისტემების სრულყოფა;
- ოპტიმალური უზრუნველყოფის შეფარდების მოხმარებულსა და დაგროვილს შორის;
- საქონლის ხარისხის ამაღლება და მისი კონკურენტუნარიანობა;
- მოსახლეობის შემოსავლების დონის ამაღლება მათი დასაქმების საფუძველზე.

გარდამავალ პერიოდში სამრეწველო წარმოების სტრუქტურა საკუთრების ფორმების მიხედვით ძლიერ შეიცვალა. ირანში მცირდება მსხვილი მასშტაბის ღონისძიებები სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისათვის, მათ შორის სამრეწველო წარმოების. ნაწილი გაიყიდა კერძო პირებზე, მეორე ნაწილი გადაიქცა სააქციო საზოგადოებად, და დარჩენილი კი შრომითმა კოლექტივებმა გამოისწყიდეს. განსაკუთრებული ადგილი უკავია იმ სამრეწველო ჯგუფებს, რომელთა ბაზაზეც ორგანიზებულია ერთობლივი საწარმოები, რომლის დამფუძნებლებიც არიან უცხოური, კერძო და იურიდიული პირები.

ირანის ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორს მთავარი ადგილი უჭირავს, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი ადგილიც, რადგანაც მათში დასაქმებულთა რიცხვი შეადგენს 38 ათ. ადამიანს.

ირანის ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურაში სახელმწიფო სექტორს მოწინავე პოზიცია უკავია, რასაც როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები აქვს.<sup>1</sup> მე-11 ცხრილში ნაჩვენებია სამრეწველო წარმოების სტრუქტურა საკუთრების ფორმების მიხედვით 2015-2016 წლებში.

როგორც ცხრილიდან ჩანს ირანის მთავარი მაჩვენებლების ცვლილება საკუთრების ფორმების მიხედვით 2016 წელს 2015 წელთან შედარებით ძალზედ თავისებურად ჩამოყალიბდა.

#### ცხრილი 2.2.1

#### მრეწველობის მაჩვენებლები საკუთრების ფორმების მიხედვით (ათ. დოლ.) 2007-2008 წლებში.

საკუთრების ფორმა	საწარმოთა რიცხვი		მუშაების რაოდენობა (ათ. კაცი)		პროდუქციის მოცულობა	
	2015	2016	2015	2016	2015	2016
სახელმწიფო სექტორი	6541	5890	38	32	4401812	5301950
სახელმწიფო საწარმოების (გაერთიანებები)	2750	3210	23		265321	289514
არასახელმწიფო სექტორი	3627	4312	41	48	43762	51820
ხვედრითი წონა: სახელმწიფო სექტორის მთლიან მოცულობაში	65	74	46	52	32	47

წყარო: ირანის ეროვნული სტატისტიკური სააგენტოს მონაცემები 2015-2016 წლ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საკუთრების ურთიერთობათა ცვლილებამ განსაკუთრებით იმოქმედა პატარა და საშუალო საწარმოებზე. მსხვილი კომპანიებისა და ბიზნესის პრივატიზება ჯერჯერობით რთულია და სახელმწიფოს მხრიდან მკაფიოდ არ არის შემოთავაზებული მსხვილი სამრეწველო ობიექტები, განსაკუთრებით, ენერგეტიკული ობიექტების, სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტის პრივატიზება.

ირანის ეკონომიკა მსოფლიოს ეკონომიკის ნაწილია და დამოკიდებულია იმ ცვლილებებზე, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკურ გაერთიანებაში

<sup>1</sup> Смит А. Исследование о природе и причинах богатства народов. М., 1962.-С. 330-331.

ხდება. მსოფლიო ეკონომიკაში სიტუაციის ნორმალიზებასთან ერთად და განსაკუთრებით ავღანეთის ეკონომიკის სტაბილიზების პირობებში უახლოეს მომავალში ირანის ეკონომიკა უნდა გადავიდეს მდგრად განვითარების რელსებზე. საჭიროა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური კრიზისის საფრთხეები და იქიდან გამოსვლის სიძნელეები არ შეიძლება აბსოლუტურად ჩაითვალოს. მსოფლიო პრაქტიკა მეტყველებს რთულ კრიზისულ სიტუაციებზე, რომლებიც გადაილახა სხვადასხვა გზით და მეთოდებით.

ნათელ მაგალითად გამოდის აშშ-ს ღრმა ეკონომიკური კრიზისი XX საუკუნის 20-30-იან წლებში ომის შემდგომ აღდგა გ.ფ.რ და იაპონია. ამ ქვეყნების მაგალითზე ცხადი ხდება, რომ კრიზისის პირობებში სახელმწიფო თავის თავზე იღებს მართვის ყველა ბერკეტებს, პროგნოზირებას და ზოგიერთ შემთხვევაში მტკიცედ გეგმავს მრეწველობას, არეგულირებს ფასების წარმოქმნას, გამოყოფს სახსრებს მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავებისთვის, უზრუნველყოფს მრეწველობაში კაპიტალდაბანდების ეფექტიანობას და ა.შ.<sup>2</sup>

ამ ქვეყნების მთავრობები ცდილობენ დაიცვან თავიანთი უფლებები და ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე, წარმატებულ პირობებს ქმნიან გარეეკონომიკური საქმიანობის საწარმოებლად და ა.შ.

ირანის მთავარი მარკოეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა უჩვენებს, რომ ის სიძნელეები, რომლებიც მრეწველობის ორგანიზებასთანაა დაკავშირებული, წარმატებით ილახება და ეროვნული მრეწველობის განვითარება შეინიშნება. მაგრამ ჯერ ადრეა საუბარი მრეწველობისა და ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტაბილიზებაზე, რადგანაც სოფლის მეურნეობა, როგორც მთავარი რგოლი, ჩამორჩება რესპუბლიკის ნედლეულში ეკონომიკის მოთხოვნებს. ეს, თავის მხრივ, მრეწველობის მოცულობისა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის შემცირებას იწვევს.

მესამე ქვეთავში საუბარია ირანის ისლამური რესპუბლიკის მრეწველობის საინვესტიციო პოლიტიკის მდგომარეობაზე, ინვესტიციის წყაროებზე, საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირებისათვის საჭირო

---

<sup>2</sup> Рустами Нариман. Внутренний бизнес: о региональной экономике // Устойчивое развитие и рост. Тегеран. Выпуск №16. 2008. -С. 48-62. (на фарси).

ლონისძიებებზე. მოცემულია უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა 2000-2016 წლებში და ამ სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.

ინვესტიციის წყაროები ეკონომიკის განვითარების დონით განისაზღვრება. გარე კაპიტალის შემოდინება ირანში სტრუქტურული და მრეწველობის წარმოების ხარისხიანი განახლებისთვის რჩება უმნიშვნელო. ამ თვალსაზრისით, ირანში დღეისათვის ჩამოყალიბებულმა სიტუაციამ ფაქტიურად გააჩერა საინვესტიციო პროცესი როგორც მაკრო, ასევე მიკრო დონეებზე. მაგალითად, შემოსულ უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2012 წ. შეადგინა 2.7 მლრ აშშ დოლარი ან 4.4% ქვეყნის შ.მ.პ-სა, ათვისებულ კაპიტალ დაბანდებებს ყველა წყაროების ხარჯზე 2167 მლდ აშშ დოლარი ან 34% შ.მ.პ-ს ოდენობით: უცხოური ინვესტიციების კაპიტალდაბანდებებმა საერთო ათვისებულ მოცულობაში შეადგინა 40% საერთო კაპიტალდაბანდებების მოცულობიდან ან 1.4% ქვეყნის შ.მ.პ-ს, თავისი სახსრებით - კაპიტალ-დაბანდების საერთო მოცულობის 60%. თუ შევადარებთ განვითარებული ქვეყნების დონეს, მაშინ ექსპერტთა შეფასებით, ინვესტიციების მთავარ წყაროდ ითვლება საკუთარი სახსრები, რომლებიც ირანის კაპიტალდაბანდების საერთო მოცულობის 65%-ს შეადგენს.

ინფრასტრუქტურის ცუდი მდგომარეობა, თავის მხრივ, არ იზიდავს ინვესტორებს და, ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ სამრეწველო სექტორში არსებობს მსხვილი რეზერვების საწარმოო სიმძლავრეები, შიდა და გარე მოთხოვნილების ვარდნის გამო და სავაჭრო კავშირები ნგრევის ფონზე, შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი მათგანი არ იქნება ჩართული მრეწველობის პროცესში.

ირანში საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირებისათვის არსებულ პირობებში მნიშვნელოვანია არა მარტო ინვესტიციების პროცესზე ზემოქმედება, არამედ იმ პირობათა ფორმირებაც, რომლებიც მათი განხორციელების მოთხოვნილებას იწვევენ. ამიტომ სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ხდება იმ პირობების შექმნა, რომლებიც საკუთარი საინვესტიციო რესურსების დაგროვებას გამოიწვევს.

საინვესტიციო პოლიტიკის გამოკვლევამ და საინვესტიციო მოღვაწე-

ობის უცხოური ქვეყნების რეგულირების სისტემებმა აჩვენეს, რომ სერიოზული ეკონომიკური ურთიერთობების ნორმალიზების გარეშე საინვესტიციო პროცესების რეგულირება შეუძლებელია. ამისათვის საჭიროა შემდეგი:

- მრეწველობაში ინვესტირების მიმზიდველობის აღდგენა;
- საინვესტიციო ეროვნული ბაზის შექმნა და განვითარება;
- სახელმწიფო პოლიტიკის ამოცანების გადასაწყვეტად კომერციული ბანკების ჩართვა;
- სახელმწიფო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აღდგენა ინდიკატორული დაგეგმვისა და პროგრამების გამოყენებით.

**მესამე თავი** – „ეკონომიკური მოდელირების რეგიონული თავისებურებები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში“ – მოიცავს სამ ქვეთავს:

3.1. რეგიონთაშორის ვაჭრობის ეფექტიანობის დონის განსაზღვრის მეთოდური საფუძვლები;

3.2. ირანის რეგიონებს შორის ვაჭრობის განვითარების მდგომარეობა და რეგიონული ზრდის პროპორციები;

3.3. ირანის რეგიონთაშორის ვაჭრობის ფაქტორთა განვითარების ეკონომეტრიული მოდელირება.

პირველ ქვეთავში მოცემულია სავაჭრო პოტენციალის განმსაზღვრელი მაჩვენებლები და მეთოდები, რომლებიც დაფუძნებულია უბრალო მათემატიკურ მაჩვენებელზე (ეკონომეტრიკა). განმარტებულია სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლების გამოთვლები და განმარტებები, რომელიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მეცნიერის მიერაა გამოთვლილი და განმარტებული. განხილულია იმპორტ-ექსპორტის ბალანსი წლების მიხედვით დინამიკაში. მოცემულია სხვადასხვა სტატისტიკური მასალა ცხრილებისა და ნახაზების სახით.

ირანში ჩატარებულ კვლევებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ს. ტაების და კ. აზერბაიჯანის 2004 წლის კვლევები. მათ გამოთვალეს არსებული სავაჭრო პოტენციალი ირანსა და უკრაინას შორის. გამოკვლევათა შედეგებმა დაადასტურეს, რომ ეკონომიკური ერთობისკენ სწრაფ-

ვა ორმხრივი სავაჭრო ინტეგრაციის ფარგლებში ირანსა და უკრაინას შორის უპერსპექტივოა.

ს. ჯალალიმ და ს. სულეიმანმა განიხილეს ირანის სავაჭრო ინტეგრაცია აკც-ს წევრ ქვეყნებთან, ასევე გამოკვლევების შედეგების მიხედვით დამტკიცდა, რომ ირანი უფრო ინტეგრირებულია აკც ქვეყნებთან, ვიდრე ევროკავშირის წევრ-ქვეყნებთან. ამ ფენომენის მიზეზი არის ეკონომიკური, სოციალური და რელიგიური იდენტურობა ამ ქვეყნების [4, 16].

მ. იამამოტამ (2005) განიხილა კორეის რესპუბლიკასა და იაპონიის რეგიონალური ჯგუფების დარგებს შორის ვაჭრობაზე მოქმედი ეფექტიანი ფაქტორები, ისეთები, როგორებიც არიან НАФТАБ, ЕС, МЕРКОСУР 1996-2001 წლებში. ამ კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ეკონომიკის ზრდა იწვევს ქვეყნის როგორც შინა, ისე საგარეო ვაჭრობის მოცულობის ზრდას.

ლ. ხამელსმა და ჯ. ლევენსონმა (1995) გამოიკვლიეს შიდა დარგების ვაჭრობა ОЭСР-ს წევრ - ქვეყნებს შორის. მათი ნამუშევრის შედეგმა აჩვენა, რომ შიდა დარგების ვაჭრობა ქვეყნის ერთ სულზე შემოსავლის გავლენის ქვეშაა და არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება შიდა დარგების ვაჭრობასა და მანძილს შორის.

ირანში ჩატარებულ გამოკვლევებს შორის შეიძლება ვახსენოთ რუსეთის მკვლევრების ნამუშევრები, რომელიც ეძღვნება ირანის შიდა ვაჭრობაზე მოქმედ ეფექტიანობის საკითხს. მეცნიერმა რასტიმ (2009) განიხილა ვაჭრობის შიდა დარგების მდგომარეობა ტრანსპორტის, ტურიზმისა და ფინანსური მომსახურების სფეროებში. კვლევების შედეგებმა დაადასტურა, რომ ირანის მომსახურების სფეროები არაა მოქნილი და მრავალფეროვანი, რის გამოც, არა აქვთ შესაძლებლობები ეპაექროს სხვა ქვეყნების კონკურენტულ სავაჭრო სფეროებს.

რეგიონთაშორის საერთაშორისო ვაჭრობის დონის ეფექტიანობის განსაზღვრის საშუალებები ძალზედ მრავალფეროვანია. ისინი გაცდნენ მსოფლიო ეკონომიკის სხვადასხვა ტენდენციის ზემოქმედებასა და ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციებსაც. დღეს ეკონომიკურ მეცნიერებას შესწევს ძალა გასცეს ადეკვატური პასუხები იმას, თუ რომელი ფაქტორები

ასახეობა ყველაზე მეტად რეგიონებს შორის საქონელბრუნვის მოცულობის გაზრდაზე და რომელი გამოდის სავაჭრო ოპერაციების თავისუფალი ნაკადის გზაზე. ჩვენი კვლევების მიზანია ადეკვატურად წარმოვადგინოთ შედარებითი უპირატესობის ინდექსის განსაზღვრის გაერთიანებული მეთოდის გამოყენება და შიდა დარგების ვაჭრობის ირანის რეგიონების ჰორიზონტების სპეციალიზაციის პერსპექტივების აღნიშვნა და ამა თუ იმ საქონლის და მომსახურების წარმოებაში გამოვლენა.

ირანის სავაჭრო ურთიერთობებმა მთელი ისტორიული პროცესის დროს საგრძნობი ცვლილებები განიცადეს. დროდადრო აღინიშნებოდა შიდა სტაბილურობა და კეთილდღეობა. ხანდახან სახელმწიფო განიცდიდა ვარდნასა და კრიზისს ყველა დარგში, რომელიც გამოწვეული იყო მთელი რიგი შიდა თუ გარე მიზეზებით, სამოქალაქო ომებითა თუ გარე აგრესიით.

მეორე ქვეთავი ირანის რეგიონებს შორის ვაჭრობის განვითარების მდგომარეობასა და რეგიონული ზრდის პროპორციებს ასახავს და ირანის რეგიონების განვითარების დონის შესაფასებლად შემუშავდა მაჩვენებლები, რომლებიც ეხება ეკონომიკას, განათლებას, ჯანმრთელობას, ინფრასტრუქტურასა და სოფლის მეურნეობას. მოცემულია ყველა დარგის ინდექსი.

მესამე ქვეთავი განიხილავს ირანის რეგიონთაშორის ვაჭრობის ფაქტორთა განვითარების ეკონომიკურ მოდელირებას. ანალიზი და მოდელირება ჩატარდა თეირანის რეგიონთაშორის ვაჭრობის ანალიზის მიხედვით, როგორც განვითარებული და ჩამორჩენილი პროვინციების – კერმანშახის, ბუშერის, ქურთისტანის, ხორმენზგანის, ლურესტანის, სისტანის და ბელუჯისტანის – მაგალითზე.

## დასკვნა

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევებისა და არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის შედეგად შეგვიძლიათ ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნები და წინადადებები:

1. ბოლო წლებში ირანის ისლამურ რესპულიკაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები და მისი ბირთვული პროგრამა დიდი

ხანია მოექცა მსოფლიო ყურადღების ცენტრში.

ირანის ეკონომიკის განვითარების საკითხებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გადაუდებელია სავაჭრო ურთიერთობების სრულყოფა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე და რომელიც ხელს შეუწყობს მთელი ქვეყნის ეკონომიკის ზრდას სანქციების რეჟიმის პირობებში. რეგიონული ეკონომიკის მართვის სხვადასხვა მოდელის წარმატებული რეალიზაცია მკაცრად არის მოქცეული ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური მოდელის ჩარჩოში. რეგიონული განვითარების ყველა მოდელში საკმაოდ დიდი როლი აქვს მინიჭებული ვაჭრობას, საქონელგაცვლასა და მომსახურებას, რომელიც პრაქტიკულად, ითვლება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითად მამოძრავებელ ღერძად.

2. ირანის განსაკუთრებული მდგომარეობა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში განპირობებულია, პირველ რიგში, მისი გაჭიანურებული კონფლიქტებით აშშ-სა და მის მოკავშირე ქვეყნებთან, რა თქმა უნდა, ამ კვლევის მიზნები და ამოცანები გვაიძულებს უფრო ღრმად ჩავხედოთ იმ პრობლემებს, რომელიც მას აქვს გარე სამყაროსთან ურთიერთობისას. საუბარია, უპირველეს ყოვლისა, ირანის საერთაშორისო ვაჭრობასა და მისი პოტენციალის შესაძლო გაფართოებაზე. ბოლო წლებში ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირე ქვეყნების მიერ ირანის მიმართ გატარებულმა სანქციებმა უკიდურესად უარყოფითი გავლენა მოახდინეს მის სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებზე, ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემის მყარ ფუნქციონირებაზე და, საბოლოო ჯამში, ამან ქვეყანა გარესამყაროსთან დამოკიდებული გახადა. ეკონომიკური სანქციების შემსუბუქების ერთ-ერთი პირობა შეიძლება იყოს ქვეყნის შიგნით ინტეგრაციული ვაჭრობის გაფართოება. ყოველივე ეს განაპირობებს მიღებულ იქნას გადაუდებელი ზომები ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის.

3. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ირანის ეკონომიკის წინააღმდეგ სანქციებს სისტემური ხასიათი აქვს და დასავლეთის ქვეყნების პირდაპირ უარყოფით რეაქციას წარმოადგენს ისლამურ რევოლუციასა და ირანის ეკონომიკის მიღწევებზე. ამ პირობებში ირანისთვის ოპტიმალურ პოზიციას წარმო-



ადგენს ქვეყნის ორიენტირება თვითგანვითარებაზე, რეგიონული დისპროპორციისა და განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ჩამორჩენის აღმოფხვრა, როგორც ტექნოლოგიურ, ისე კულტურულ-საქმიან სფეროში. ამ მიზნით, რეგიონთაშორისო ვაჭრობა უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გამოდის როგორცაა: ირანის რეგიონების დონეების დასაბალანსებლად და, მთლიანიად, ეკონომიკის განსავითარებლად.

4. რეგიონთაშორისო-საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტიანობის დონის გამოვლენის მეთოდი საკმაოდ განსხვავებულია. ისინი წარმოიშვა მსოფლიო ეკონომიკაში სხვადასხვა ტენდენციის გავლენით. მნიშვნელოვანია ის, რომ თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება მზად არის გასცეს ადეკვატური პასუხები იმაზე, თუ რომელი ფაქტორები აისახება, უფრო მეტად საქონლის გაცვლაზე რეგიონებს შორის და რა ბარიერი ელობება წინ საქონლის თავისუფალი შემოდინების პროცესს.

აქედან გამომდინარე, ირანი ფლობს ყველა საჭირო შესაძლებლობას ქვეყნის როლისა და ადგილის ასამაღლებლად მსოფლიო ეკონომიკაში. ასეთი შესაძლებლობების რეალიზაცია საჭიროა არა მარტო ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანი ჩართვის მსოფლიოს სამეურნეო, არამედ მთელი რესურსების გამოსაყენებლად, რაც მიღწეულია მსოფლიო მეცნიერებითა და ეკონომიკით თვითონ ქვეყანაში საუკეთესო საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად.

## ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოკვიუმი და ორი სემინარი:

### კოლოკვიუმები:

1. კოლოკვიუმი 1 – ირანის ისლამური რესპუბლიკის მრეწველობის მდგრადი განვითარება (25.02.2017)
2. კოლოკვიუმი 2 – ირანის ისლამური რესპუბლიკის რეგიონული მდგრადი განვითარება (13.07.2017)
3. კოლოკვიუმი 3 – ეკონომიკური მოდელების რეგიონული თავისებურებები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში (09.03.2018)

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია

### შემდეგ პუბლიკაციებში:

#### სამეცნიერო სტატიები:

1. ირანის ისლამური რესპუბლიკის მრეწველობის მდგრადი განვითარების მეთოდოლოგიური საფუძვლები, ჟურნალი „განათლება“, №3(19), 2017, გვ. 136-140;
2. ირანის ისლამური რესპუბლიკის მრეწველობის მდგრადობა და მართვის გზები „განათლება“, №1(20), 2018, გვ. 141-144;
3. სოციოლოგის თვალთ დანახული ირანის კულტურა, ტრადიციები, ყოფა-ცხოვრება და ეკონომიკა №2(21), 2018, გვ. 123-130.

#### კონფერენციები:

1. ირანის ისლამური რესპუბლიკის მრეწველობის საინვესტიციო პოლიტიკის სრულყოფის გზები, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, თბილისი, 2018 წლის 25-26 მაისი, გვ. 252-256.